ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის მისაღები საგამოცდო და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის დიპლომი. სასურველია, თუმცა სავალდებულო არ არის სამუშაო გამოცდილების ქონა, გერმანული ან ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე (სერთიფიკატი ან გამოცდა), საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და გასაუბრება. თითეოული კომპონენტის წონა შემდეგია:

1. გამოცდა სპეციალობაში - 40 %;

2. გასაუბრება სპეციალობაში - 20 %;

3. გამოცდა უცხო ენაში (სერთიფიკატი ან გამოცდა საგამოცდო ცენტრში)- 40 %.

1. სპეციალობაში გამოცდის შეფასების კრიტერიუმები (40 ქულა)

სპეციალობაში გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. აპლიკანტს საკითხების ნუსხიდან მიეცემა 4 საკითხი. თითოეული საკითხის „წონაა“ 10 ქულა. შესაბამისად, სპეციალობაში გამოცდის საფუძველზე სტუდენტი დააგროვებს მაქსიმუმ 40 ქულას.

თითოეულ საკითხში ქულების განაწილება ხდება შემდეგნაირად:

1.1. საკითხის ცოდნა და ანალიზი (10 ქულა)

- პასუხი არ შეესაბამება საკითხს ან/და პასუხი არ არის წარმოდგენილი (0 ქულა)
- საკითხში ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა და ანალიზი (2-1 ქულა)
- საკითხში ნაწილობრივ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი (4-3 ქულა)
- საკითხში მეტწილად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი (6-5 ქულა)
- საკითხში ძირითადად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა, მეტწილად გაანალიზებულია საკითხი (8-7 ქულა)
- საკითხში მკაფიოდ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის სრულყოფილი ცოდნა და ამომწურავად არის საკითხი გაანალიზებული (9-10 ქულა)

2. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

გასაუბრება (რომლის „წონაა“ 20 ქულა) შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სტუდენტის მოტივაცია 10 ქულა

- ✓ სტუდენტის მოტივაცია სრულიად თანხვედრაშია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (9-10 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია მეტწილად თანხვედრაშია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (6-8 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაწილობრივ თანხვედრაშია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (4-5 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაკლებად თანხვედრაშია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (1-3 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია არ შეესაბამება ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებს (0 ქულა)

პროფესიული ინტერესები და მიზნები - 10 ქულა

- ✓ სტუდენტს აქვს სრულიად ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირებაში (9-10 ქულა)
- ✓ სტუდენტს აქვს მეტწილად ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირებაში (6-8 ქულა)
- ✓ სტუდენტს აქვს ნაწილობრივ ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირებაში (4-5 ქულა)
- ✓ სტუდენტს აქვს ნაკლებად ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირებაში (1-3 ქულა)
- ✓ სტუდენტს არ აქვს პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირებაში (0 ქულა)